2022

ყოველწლიური ანგარიში

დემოკრატიისთვის ბრძოლის *მე-10 წელი*

სარჩევი

ჩვენს შესახებ **4**

ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიმართვა **7**

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პროგრამა **9**

1. სტრატეგიული სამართალწარმოება *9*

2. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვის ხელშეწყობა
და ცნობიერების ამაღლება *16*

3. თანასწორობა *19*

კანონის უზენაესობის პროგრამა **21**

საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება *21*

ინდივიდუალურ მოსამართლეთა გაძლიერება *22*

სამოქალაქო განათლების პროგრამა **23**

1. სამოქალაქო განათლების ოლიმპიადა *23*

2. ტრენინგები *24*

3.კონკურსები *24*

4. დებატების ტურნირი *25*

5. სხვა აქტივობები *25*

მედია და საზოგადოებასთან ურთიერთობა **27**

GDI საერთაშორისო პლატფორმებზე **28**

1. უფლებადამცველთა დღე *28*

2. პირველი Anti-SLAPP კონფერენცია *28*

3. თავისუფლების ფორუმები *29*

4. ევროპული პოლიტიკის დიალოგის ფორუმი *29*

5. ეუთოს კონფერენცია მიგრაციის საკითხებზე *29*

ორგანიზაციის ფინანსები **30**

დონორები

- საქართველოს გაეროს ასოციაცია (UNAG), აშშ-ის განვითარების სააგენტო USAID
- აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI), PROLoG, USAID
- ღია საზოგადოების ფონდი
- სამოქალაქო უფლებათა დამცველები (CRD)
- ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი (IWPR), პროგრამა- მედეგობის გაზრდა აღმოსავლეთ სამეზობლოში (BREN)/ დიდი ბრიტანეთის მთავრობა
- თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი
- ევროპული დემოკრატიის ფონდი (EED)
- ევროკავშირი საქართველოსთვის
- სექსუალური განათლების შვედური ასოციაცია (RFSU)
- ნიდერლანდების სამეფოს საელჩო საქართველოში
- ატლას ნეთვორქი (Atlas Network)

კოალიციები

- მედიის ადვოკატირების კოალიცია
- კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის
- კოალიცია თანასწორობისათვის
- სამოქალაქო პლატფორმა „არა ფობიას!“
- კოალიცია ევრო-ატლანტიკური საქართველოსთვის
- კოალიცია SLAPP-ების წინააღმდეგ ევროპაში

ჩვენს შესახებ

> *ჩვენი ხედვაა, ხელი შევუწყოთ ისეთი გახემოს ჩამოყალიბებას, სადაც სახელმწიფოს ქმნის ხალხი და სახელწმიფო ემსახუხება ადამიანებს*

„საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ (GDI) არის დამოუკიდებელი, არასამთავრობო, არასამეწარმეო ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნდა 2012 წლის 17 დეკემბერს. ორგანიზაციის მიზანია:

- *ქვეყანაში კანონის უზენაესობის დამკვიდრება;*
- *საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა სამოქალაქო განათლების გზით;*
- *დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების ხელშეწყობა;*
- *სამართლიანი, თანასწორი, ტოლერანტული გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა;*
- *ხელისუფლების შტოების ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობა.*

მიზნის მისაღწევად ორგანიზაცია ისახავს შემდეგ ამოცანებს: ა) ადამიანის უფლებების პოპულარიზაცია და მათ დაცვაზე ზედამხედველობა; ბ) ინკლუზიური საზოგადოებისა და ტოლერანტული გარემოს წახალისება; გ) დემოკრატიული მმართველობისა და კანონის უზენაესობის განმტკიცება; დ) საჯარო ინსტიტუტების ანგარიშვალდებულებისა და ტრანსპარენტულობის ხელშეწყობა. GDI ამ მიზნებს ემსახურება მონიტორინგის, საჯარო დებატების, ფაქტებზე დაფუძნებული კვლევებისა და პოლიტიკის ანალიზის მეშვეობით.

ორგანიზაცია თავისი საქმიანობის ძირითად სფეროებში აერთიანებს კვლევის, ადვოკატირებისა და მონიტორინგის დიდი გამოცდილების მქონე მაღალკვალიფიციურ პროფესიონალებს. გუნდის წევრთა ექსპერტული პოტენციალი, გამოცდილება, მიუკერძოებლობა და სანდოობა განაპირობებს „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ წამყვან როლს საქართველოში ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული განვითარების პოლიტიკის შესახებ დისკურსში.

ორგანიზაციის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა დამფუძნებელთა კრება, რომელსაც იწვევს გამგეობა ან რომელიმე დამფუძნებელი წევრი. ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოა გამგეობა, რომელსაც 2021 წლის იანვრიდან თავმჯდომარეობს ედუარდ მარიკაშვილი.

ორგანიზაცია საქმიანობას ახორციელებს ოთხი ძირითადი მიმართულებით:

- ***კანონის უზენაესობა***
- ***სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებების დაცვა***
- ***სტრატეგიული სამართალწარმოება***
- ***სამოქალაქო განათლება***

ჩვენი გუნდი

ედუარდ მარიკაშვილი

ორგანიზაციის თავმჯდომარე

ნინო ცაგარეიშვილი

ფინანსური მენეჯერი

მარინე კაპანაძე

სამოქალაქო და პოლიტიკური
უფლებების პროგრამის დირექტორი

გვანცა წულუკიძე

კანონის უზენაესობის პროგრამის
დირექტორი

ნინო ერემაშვილი

სამოქალაქო განათლების
პროგრამის დირექტორი

დავიდ ჯანდიერი

საერთაშორისო
სამართალწარმოების გუნდის
ხელმძღვანელი

რაფიელ კაკაბაძე

იურისტი

მარიამ ქვარიანი

იურისტი

სალომე გომართელი

იურისტი

ეკატერინე სუბელიანი

იურისტი

ვასილ ჟიჟილაშვილი

იურისტი

მარიამ ტაგანაშვილი

საერთაშორისო
სამართალწარმოების იურისტი

ვიკა კახიძე

ადმინისტრაციული მენეჯერი

ანა გაგნიძე

სტაჟიორი

ნინო შელია

სტაჟიორი

GDI-ის გამგეობა

GDI-ის გამგეობა

- **ედუარდ მარიკაშვილი**- გამგეობის თავმჯდომარე
- **გიორგი ტულუში**- გამგეობის წევრი
- **გიორგი მშვენიერაძე**- გამგეობის წევრი
- **გიორგი ვაშაკიძე** - გამგეობის წევრი
- **ნინო ერემაშვილი**- გამგეობის წევრი

ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიმართვა

დემოკრატიისთვის ბრძოლის მე-10 წელი

2022 წლის 17 დეკემბერს GDI-ს დაარსებიდან 10 წელი შესრულდა. დემოკრატიისთვის ბრძოლის 10 წელი, ამ სახელწოდებით აღვნიშნეთ ჩვენმა გუნდმა მეგობრებთან და პარტნიორებთან ერთად ორგანიზაციის იუბილე. ბრძოლის, რადგან ადამიანის უფლებები და დემოკრატია საქართველოს უახლესი ისტორიის მანძილზე არასდროს ყოფილა კონსენსუსი საგანი, ის ბრძოლის ველს უფრო წარმოადგენს.

2022 წელიც არ ყოფილა ამ კუთხით გამონაკლისი. უკრაინაში რუსეთის არაპროვოცირებულმა, გაუმართლებელმა ომმა კი, უკიდურესად გაამძაფრა ადამიანის უფლებებისკენ მიმართული საფრთხეები, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ღირებულებითი თვალსაზრისით. 2022 წელს, ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე, ყველაზე ხელშესახები გახდა ავტოკრატიის მცდელობა იმარჯვოს დემოკრატიაზე. დაარწმუნოს ადამიანი დემოკრატიის სისუსტესა და უძლურებაში ავტორიტარიზმის წინააღმდეგ.

თუმცა, მსოფიო ხედავს, თუ რა შეუძლია ძლიერ, კონსოლიდირებული დემოკრატიას. მას ძალუძლს წინ აღუდგეს ავტოკრატიას, რომლის არსებობის ერთადერთი მიზანი, ხელისუფლების საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმების საბოტაჟი და ადამიანის ღირსების ფეხქვეშ გათელვაა.

მოვლენებმა, რომელმაც მსოფლიო აიძულა შეეცვალა მანამდე არსებული წესრიგი, გავლენა საქართველოზეც იქონია. საქართველოს ხელისუფლება, რომელიც მანამდე ცდილობდა და ახერხებდა მისი ავტოკრატიული ვნებების შენიღბვას, გაშიშვლდა. რუსეთის ფედერაციის სახით მსიოფლიოში ავტოკრატიის შეტევაზე გადასვლამ, საქართველოს ხელისუფლებას უბიძგა დაეწყო მოქმედება მისი რეალური მიზნების სისრულეში მოსაყვანად. ამ მოვლენებს დაემთხვა საქართველოს მოსახლეობის ნება და მოქმედებები საქართველო იყოს დემოკრატიული სამყაროს და არა ავტოკრატიული რუსეთისა და მისი მოკავშირეების მხარეს და მიიღოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი.

2022 წელი გამორჩეული იყო საქართველოს ხელისუფლების მიერ დასავლეთსა და დასავლურ ღირებულებებზე უარის თქმისა და მათგან დინსტანცირების კუთხით. მათმა პროაქტიულმა ნაბიჯებმა დააზიანა და დღემდე აზიანებს საქართველოში დემოკრატიის შენების სურვილს და მისწრაფებას. დემოკრატიის იდეაზე უარის თქმა კი პირდაპირპროპორციულად აისახა ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის ხარისხზე და იმ ფუნდამენტურ საკითხებზე რაზეც GDI წლებია მუშაობს.

ზემოთ აღნიშნული მოცემულობის გათვალისწინებით გვიწევდა 2022 წელს ოპერირება. მთავარი არხის მენეჯერის, ნიკა გვარამიას, პოლიტიკური დაპატიმრობის შემდეგ, კიდევ უფრო ნათელი გახდა, რომ ხელისუფლება გადამწყვეტ ბრძოლას იწყებდა, რომლის სამიზნე საზოგადოებრივი კონტროლის ბოლო ქმედითი მექანიზმები კრიტიკული მედია და სამოქალაქო საზოგადოება იქნებოდა. მედიაზე თავდასხმას მოჰყვა სამოქალაქო ორგანიზაციებზე ინსტიტუციონალიზებული შეტევისთვის ნიადაგის მომზადება. მათი დისკრედიტაციის მცდელობა საზოგადოების თვალში და საზოგადოების შემზადება ახალი რეპრესიებისთვის, რომელიც 2023 წლის დასაწყისში რეალიზდებოდა, რომ არა აქტიური საზოგადოება, რომელიც წინ აღუდგა რუსული ტიპის კანონმდებლობის მიღებას საქართველოში.

ამ ზოგადად რთული მდგომარეობის გამკლავების პარალელურად, GDI-ს გუნდმა დიდი ძალისხმევა ჩავდეთ მედიისა და ჟურნალისტთა უფლებების დაცვის პროცესში და მედიის თავისუფლების დაცვა ორგანიზაციის მნიშვნელოვან მიმართულებად ვაქციეთ. პირველად საქართველოში, დავიწყეთ სისტემური მუშაობა მედიის თავისუფლებსთვის ახალი საფრთხის, SLAPP გამოვლენისა და მის წინააღმდეგ ბრძოლისთვის. ვიცავდით აქტივისტთა და მშვიდობიან მანიფესტანტთა უფლებებს, იმ რწმენით, რომ გამოხატვის თავისუფლება ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია დემოკრატიული საზოგადოების არსებობისთვის.

გავაგრძელეთ აქტიური მუშაობა თანასწორობის უფლების დაცვისთვის, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო პლატფორმეზე. პლატფორმა “არა ფობიას” მანდატით, პლატფორმის წევრებთან ერთად, გავააქტიურეთ მუშაობა დისკრიმინაციისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ. გავაგრძელეთ მუშაობა LGBTQ+ თემის გაძლიერებისთვის. იმ რწმენით, რომ თანასწორობა არის ქვაკუთხედი სამართლებრივი სახელმწიფოსა და თავისუფლების.

არ დაგვიკლია ძალისხმევა და მცდელობა უკეთესი ყოფილიყო ქართული მართლმსაჯულება. ვმუშაობდით, როგორც პრობლემების იდენტიფიცირებასა და მონიტორინგზე, ასევე, პარტნიორებთან ერთად ვამუშავებდით მართლმსაჯულების სისტემის ცვლილებების ხედვებს. პლატფორმა , “იცნობდე შენს მოსამართლეებს” საშუალებით საზოგადოებას ვაცნობდით იმ მოსამართლეებს, ვის მიერ განხორციელებული მართლმსაჯულებაც პირდაპირ თუ ირიბად ეხებათ. ვმუშაობდით იმ რწმენით, რომ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულება დემოკრატიის ფუნდამენტია.

სტრატეგიული სამართალწარმოებით ვცვლიდით არსებულ სამართლებრივ რეალობას, რათა გაუმჯობესებულიყო ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოში. გვჯერა, რომ ადამიანის უფლებებისა და სამართლის ცოდნა და მათი სტრატეგიულ მიდგომებთან კომბინირება ეფექტიანი გზა არის რეალური ცვლილებებისთვის.

კვლავ აქტიურად ვმუშაობდით ახალგაზრდების სამოქალაქო განათლებისთვის, რადგან გვჯერა და გვწამს, რომ აქტიური, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გააზრებული და ცოდნით აღჭურვილი ახალგაზრდები არიან ისინი, ვისაც ძალუძს რეალობა უკეთესობისკენ შეცვალოს. ეს მათ 2023 წლის მარტის მოვლენების დროსაც დაამტკიცეს.

აქტიურად ვიყავით და ვართ ჩართული საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის ხელშეწყობაში. გვჯერა, რომ საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია არის საქართველოს უალტერნატივო გზა და კურსი, რომელიც საქართველოს ისტორიით, კონსტიტუციითა და საქართველოს მოქალაქეების ურყევი ნებით არის განმტკიცებული.

და ბოლოს, ვიბრძოდით ადამიანის დაცვისა და მისი თავისუფლების, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულებისთვის.

მადლობა მინდა გადავუხადო GDI-ს გუნდს, ყველას ვინც მხარს გვიჭერს და GDI-ს გვერდით დგას ამ ბრძოლაში.

დემოკრატიისთვის ბრძოლა გრძელდება!

ედუარდ მარიკაშვილი

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პროგრამა

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პროგრამა თავის თავში აერთიანებს სამ ძირითად მიმართულებას: სტრატეგიული სამართალწარმოება, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვის ხელშეწყობა და თანასწორობის საკითხების ადვოკატირება. პროგრამა, წლებია, აქტიურად მუშაობს საქართველოში ისეთი უფლებების დაცვასა და განმტკიცებაზე, როგორიცაა გამოხატვისა და მედიის თავისუფლება, შეკრების თავისუფლება, რელიგიის თავისუფლება, დისკრიმინაციის აკრძალვა და ა.შ. სამართლებრივი დახმარების გაწევით, სტრატეგიული სამართალწარმოებით, მონიტორინგით, ადვოკატირებით, ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიებითა და სხვა გზებით, ორგანიზაციას წვლილი შეაქვს ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვასა და განმტკიცებაში. ორგანიზაცია ორიენტირებულია გაუმჯობესოს კანონმდებლობა, შეცვალოს უფლებათა შელახვის მანკიერი პრაქტიკა და უკეთესი გახადოს სამიზნე ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობა.

1. სტრატეგიული სამართალწარმოება

2022 წელს GDI-მ გააგრძელა სტრატეგიული სამართალწარმოება ეროვნულ დონეზე და, ამასთანავე, უფრო აქტიურად დაიწყო ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გასაჩივრების მექანიზმის გამოყენება. სტრატეგიული სამართალწარმოების ფარგლებში GDI-ის მიზანია მნიშვნელოვანი საქმეების წარმოებით კანონმდებლობის, ადმინისტრაციული და სასამართლო პრაქტიკის გაუმჯობესება, რაც, საბოლოოდ, ადამიანის უფლებების გაძლიერებული დაცვით გამოიხატება.

1.1. წარმატებული საქმეები

საქმე „მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“

2022 წლის 1 სექტემბერს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დააკმაყოფილა GDI-ს საჩივარი ირაკლი კაჭარავას საქმეზე.[1] გადაწყვეტილება ეხება 2019 წლის 18 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის მიმდებარედ გამართულ საპროტესტო აქციებზე მასობრივ დაკავებებს.[2] სასამართლომ ირაკლი კაჭარავას მიმართ სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-6 და მე-11 მუხლების დარღვევა დაადგინა და მომჩივნის სასარგებლოდ მთავრობას 1600 ევროს ოდენობით ზიანის ანაზღაურება დააკისრა.[3] სასამართლომ ყველა იმ სისტემურ პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება, რაც წლებია საქართველოში ხელისუფლების მიერ კანონმდებლობისა თუ პრაქტიკის დონეზე მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის წინააღმდეგ, მის ჩასახშობად გამოიყენება.[4]

„ბირჟა მაფიას“ საქმე

2022 წლის დეკემბერში საერთო სასამართლოებში წარმატებით დასრულდა 4 წლიანი დავა „ბირჟა მაფიას“ საქმეში, რომელშიც მოსარჩელე გიორგი ქებურიას GDI წარმოადგენდა. საქმის დაწყებას წინ უსწრებდა 2017 წლის ივნისში „ბირჟა მაფიას“ წევრების გიორგი ქებურიასა და მიშკა მგალობლიშვილის განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დაკავება.[5] დაკავებამდე გამოქვეყნდა „ბირჟა მაფიას“ ვიდეო-კლიპი, რომელშიც შემოქმედებით კონტექსტში გაშარჟებული იყო პოლიციელის ფიგურა,6 ხოლო „ბირჟა მაფიას“ წევრების განცხადებით, „რეალურად დაკავების მიზეზი მათი კლიპი გახდა, რომელშიც პოლიციელი ყელსაბამზეა გამობმული“.[7] 2017 წლის 9 ივნისს გიორგი ქებურიას თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიებად შეუფარდა პატიმრობა, რომელშიც შემდეგ სააპელაციო სასამართლომ პატიმრობა 20 000 ლარიანი გირაოთი შეცვალა.[8] ქებურიას მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა 2017 წლის 15 დეკემბერს შეწყდა პროკურორის დადგენილების საფუძველზე, დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.[9] ქებურიას სახელით მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, GDI-მ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, რომელმაც 2021 წელს დააკმაყოფილა მოთხოვნა და გენერალურ პროკურატურას მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება დააკისრა.[10] ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას ასევე მხარი დაუჭირეს მეორე და მესამე ინსტანციის სასამართლოებმა. კერძოდ, უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა ამავე საქმეზე სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქართველოს გენერალურ პროკურატურას, გიორგი ქებურიას სასარგებლოდ, უკანონო დაკავების, უკანონო პატიმრობისა და სისხლისსამართლებრივი დევნის გამო დააკისრა

1 Case of Makarashvili and others v. Georgia, Applications Nos. 23158/20, 31365/20, 32525/20).

2 საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, ადამიანის უფლებები საქართველოში 2022, გვ. 16.

3 საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, ადამიანის უფლებები საქართველოში 2022, გვ. 16.

4 საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, ადამიანის უფლებები საქართველოში 2022, გვ. 16.

5 პროკურატურამ «ბირჟა მაფიას» წევრის, გიორგი ქებურიას დევნა შეწყვიტა, იხ.: https://bit.ly/3k9WDt8;
GDI-მ ბირჟა მაფიას საქმეზე მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის სასამართლოს მიმართა, იხ: https://bit.ly/3Qzx5lj

6 GDI: სასამართლოში ბირჟა მაფიის საქმეზე ქებურიას 4-წლიანი დავა მისი გამარჯვებით დასრულდა, იხ: https://bit.ly/3XvUg2j
პროკურატურამ «ბირჟა მაფიას» წევრის, გიორგი ქებურიას დევნა შეწყვიტა, იხ.: https://bit.ly/3k9WDt8

7 GDI: სასამართლოში ბირჟა მაფიის საქმეზე ქებურიას 4-წლიანი დავა მისი გამარჯვებით დასრულდა, იხ: https://bit.ly/3XvUg2j
პროკურატურამ «ბირჟა მაფიას» წევრის, გიორგი ქებურიას დევნა შეწყვიტა, იხ.: https://bit.ly/3k9WDt8

8 სასამართლომ პროკურატურას გიორგი ქებურიას სასარგებლოდ 36 815 ლარის გადახდა დააკისრა, იხ: https://bit.ly/3QGfAQu

9 პროკურატურამ «ბირჟა მაფიას» წევრის, გიორგი ქებურიას დევნა შეწყვიტა, იხ.: https://bit.ly/3k9WDt8

10 სასამართლომ პროკურატურას გიორგი ქებურიას სასარგებლოდ 36 815 ლარის გადახდა დააკისრა, იხ: https://bit.ly/3QGfAQu

მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება 24 140 ლარის ოდენობით.[11]

გიორგი ლომიძე ააიპ საქართველოს რეფორმების ასოციაციის წინააღმდეგ

GDI-მ თბილისის საქალაქო სასამართლოში წარმატებით დაასრულა სამართალწარმოება საქმეზე გიორგი ლომიძე ააიპ საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS) წინააღმდეგ. საქმე ეხება გიორგი ლომიძის სარჩელს, რომლითაც მოსარჩელემ სადავოდ გახადა FactCheck.ge-ზე გამოქვეყნებულ *სტატიაში* გავრცელებული ცნობები. სტატიაში მითითებული იყო, რომ გიორგი ლომიძის *ვიდეომიმართვა* სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ წყალბადის ზეჟანგის (პერეკისის) გამოყენებასთან დაკავშირებით, დეზინფორმაციას შეიცავდა. მოსარჩელე ითხოვდა ცნობების უარყოფას და მორალური ზიანის ანაზღაურებას 3 მილიონი ლარის ოდენობით. სასამართლო დაეთანხმა GDI-ის, როგორც GRASS-ის წარმომადგენელს, და მიიჩნია, რომ გაკეთებული განცხადებებით არ შელახულა მოსარჩელის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, შესაბამისად, არ დააკმაყოფილა სარჩელი. მიგვაჩნია, რომ საერთო სასამართლოებში ცილისწამების შესახებ გაზრდილი დავების დაკმაყოფილების მაღალი მაჩვენებლის ფონზე სასამართლოს გადაწყვეტილება გიორგი ლომიძის სარჩელის არდაკმაყოფილების შესახებ დადებით როლს ითამაშებს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის თვალსაზრისით.

სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება ლაშა ჩხვიმიანის საქმეზე

აღნიშვნის ღირსია GDI-ს წარმომადგენლობის საფუძველზე მიღებული სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება ლაშა ჩხვიმიანის საქმეზე. საქმე ეხება პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების შესარჩევი კონკურსის სამი მონაწილის, მათ შორის ლაშა ჩხვიმიანის, განცხადებას განსხვავებული შეხედულებების გამო დისკრიმინაციის თაობაზე. განცხადების განხილვის შემდეგ, სახალხო დამცველმა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ზოგადი წინადადებით მოუწოდა დისკრიმინაციის წამახალისებელი პრაქტიკის თავიდან ასაცილებლად შეცვალოს სამხატვრო ხელმძღვანელების კანდიდატთა შესარჩევი სარეკომენდაციო საბჭოს დებულება, ხოლო კონკურსის გარეშე ხელმძღვანელის დანიშვნის დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში გამოიყენოს. ამ უფლებამოსილების მინიჭების მიუხედავად, კანონმდებლის ნება და რელევანტური დებულებები ცალსახად მიუთითებდა კანდიდატის არჩევის პროცესში დარგის სპეციალისტების მონაწილეობის არსებით მნიშვნელობაზე. სხვა შემთხვევაში, იზრდება შრომისა და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებებში, აზრისა და გამოხატვის და შემოქმედების თავისუფლებებში ჩარევისათვის ხელსაყრელი ნიადაგის ჩამოყალიბების რისკები და ჩნდება არაობიექტური, მიკერძოებული, დისკრიმინაციული მოპყრობისა და შემოქმედებით საქმიანობაში ჩარევის ვარაუდი.

GDI ლაშა ჩხვიმიანის ინტერესების დაცვას ISFED-თან ერთად საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშეც აგრძელებს. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს იმ ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით მივმართეთ, რომლებიც საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ანიჭებს შეუზღუდავ უფლებამოსილებას სამხატვრო ხელმძღვანელთა შესარჩევი კონკურსი ჩაშალოს საკუთარი მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, ხოლო ამის შემდგომ მინისტრის უფლებამოსილია ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი დანიშნოს საკუთარი შეხედულებით, რაც GDI-ს მოსაზრებით იძლევა დისკრიმინაციული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას.

11 GDI: სასამართლოში ბირჟა მაფიის საქმეზე ქებურიას 4-წლიანი დავა მისი გამარჯვებით დასრულდა, იხ: https://bit.ly/3XvUg2j

ნინო გერგედავას საქმეები

GDI-ის ბენეფიციარ ნინო გერგედავასთან დაკავშირებული საქმეები ეხება MacLaren's Irish Pub-ში განვითარებულ მოვლენებს. კერძოდ, 2018 წლის 30 სექტემბერს ნინო გერგედავა იმყოფებოდა MacLaren's Irish Pub-ში, სადაც პროტესტი გამოხატა რუსული მუსიკალური ნაწარმოებების გაჟღერების გამო. ამის შემდგომ მოხდა სიტყვიერი დაპირისპირება მასსა და ობიექტის ადმინისტრაციას შორის, რასაც მოჰყვა ადგილზე დაცვის პოლიციის გამოცხადება. ნინო გერგედავას მობილური ტელეფონით გადაღებულ ვიდეოში ასევე ჩანს მის წინააღმდეგ ფიზიკური ძალადობის კადრებიც. ნინო გერგედავამ აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებთ გამოაქვეყნა პოსტი Facebook-ს პირად გვერდზე, სადაც გააკრიტიკა ობიექტი. პოსტს ახლდა დიდი გამოხმაურება საზოგადოებაში, რის შედეგადაც მომხმარებლები გადადიოდნენ პაბის გვერდზე და შეფასების სახით უწერდნენ 1 ქულას. ამასთანავე, აღნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებით, პაბმა გამოაქვეყნა ცილისმწამებლური პოსტი, სადაც მიუთითებდა მცდარ ფაქტებზე. კერძოდ, პოსტის თანახმად, ნინო გერგედავა ნასვამ მდგომარეობაში მაგიდაზე ავიდა, ყვიროდა, იგინებოდა და აწუხებდა დამსწრე საზოგადოებას, რის გამოც მოუწიათ მისი იძულებით გაყვანა, ხოლო ნინო გერგედავას მიერ გამოქვეყნებულ პოსტს ცილისმწამებლური უწოდეს.

GDI-ს წარმომადგენლობით, ნინო გერგედავამ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, სადაც ითხოვდა პაბის განცხადების ცილისმწალებლურად აღიარებასა და მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებას. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 2022 წლის 3 ნოემბერს მიღებული გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ნინო გერგედავას მოთხოვნა. გარდა ამისა, MacLaren's Irish Pub-ის მესაკუთრემ, შპს „აიგრუპმა“ ნინო გერგედავას წინააღმდეგ სამოქალაქო სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს. სარჩელში შპს „აიგრუპმა“ მიუთითა, რომ ნინო გერგედავამ მათ წინააღმდეგ გაავრცელა არსებითად მცდარი და არასრული ინფორმაცია, რომელმაც გამოიწვია საზადოებრივი აზრის ფორმირება და ბარის საქმიანი რეპუტაციის შელახვა. შპს „აიგრუპმა“ მოითხოვა MacLaren's Irish Pub-ის საქმიანი რეპუტაციის შელახვისა და ცილისწამების ფაქტის დადგენა და გავრცელებული ინფორმაციის იმავე საშუალებით უარყოფა. საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოში გერგედავას სასარგებლოდ დასრულდა. სასამართლომ მოსარჩელე მხარის პროცესზე გამოუცხადებლობის გამო, ორჯერ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

1.2 სხვა საქმეები

მედია ორგანიზაციებისა და ჟურნალისტების დაცვა:

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს GDI-მ სამართლებრივი დახმარება გაუწია 60-მდე მედია ორგანიზაციასა და ჟურნალისტს, და წარმოადგინა ისინი სახელმწიფო უწყებებში/ სასამართლოში.

საყურადღებოა ცილისწამებასთან დაკავშირებული 10-ზე მეტი საქმე მაუწყებლებისა და მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ, რომელშიც GDI -ია ჩართული. მსგავსი დავების ინიციატორები, როგორც წესი, ხელისუფლების წარმომადგენლები ან მათთან დაკავშირებული პირები არიან (ხშირ შემთხვევაში, მათი ახლო ნათესავები ან „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები თუ შემომწირველები). GDI-ს, სამართლებრივი დახმარების მისაღებად, არაერთმა მედიამ/ჟურნალისტმა მიმართა, რომლის წინააღმდეგაც, ცილისწამების მოტივით, გავლენიანი პირების მიერ სარჩელი იყო შეტანილი სასამართლოში. ორგანიზაციამ კანონმდებლობის, ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლისა

და ანალიზის შედეგად უზრუნველყო მოპასუხე მედია ორგანიზაციების წარმომადგენლობა სასამართლოს სამივე ინსტანციაში. GDI-მ სამივე ინსტანციაში დაიცვა, მაგალითად, შპს „ფორმულას“ ინტერესები გრიგოლ ლილუაშვილის ინიციატივით დაწყებულ დავაში. ამასთან, GDI იცავს შპს „ტელეკომპანია პირველის“ ინტერესებს კახა კალაძის, დავით ფაფაციას, ჯაბა ფუტკარაძის და სხვა გავლენიანი პირების ინიციატივით დაწყებულ დავებში. მსგავს საქმეებზე სასამართლოს გადაწყვეტილებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მედიის თავისუფლების დაცვისთვის, განსაკუთრებით კი ისეთ შემთხვევებში, როდესაც საქმე სახელმწიფო უწყებების/მაღალი პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირების მიმართ კრიტიკულად განწყობილი მედიების წინააღმდეგ შეტანილ სარჩელებს ეხება.

ამასთანავე, GDI საანგარიშო პერიოდში აქტიურად იყო ჩართული წინასაარჩევნო/პოლიტიკურ რეკლამასთან დაკავშირებული მოწესრიგებისა და სასამართლო პრაქტიკის შესწავლასა და ანალიზში. მაგალითად, GDI-მ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინაშე დაიცვა შპს „ფორმულას“ ინტერესები, რომელსაც „ქართული ოცნება“ არასაარჩევნო პერიოდში წინასაარჩევნო/პოლიტიკური რეკლამის განთავსების გამო ედავებოდა. იმის გათვალისწინებით, რომ მარეგულირებელმა კომისიამ დააკმაყოფილა მმართველი პარტიის მოთხოვნა კამპანია და სამართალდამრღვევად ცნო შპს „ფორმულა“, „მთავარი არხი“, „ტელეკომპანია პირველი“, ორგანიზაციამ კომისიის გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივრა, სადაც განაგრძნობს შპს „ფორმულას“ წარმომადგენლობას.

ე.წ. „მოსმენების“ საქმე

2021 წლის 13 სექტემბერს გავრცელდა ინფორმაცია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ფარული მიყურადებისა და თვალთვალის შესახებ. კერძოდ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, სავარაუდოდ, უკანონოდ უსმენდა სასულიერო პირების, პოლიტიკოსების, ჟურნალისტების, ადვოკატების, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებისა და სხვა პირების პირად საუბრებს. გავრცელებული მასალის მოცულობა მიუთითებს, რომ უკანონო მოსმენებს ჰქონდა სისტემური ხასიათი. გავრცელებულ ჩანაწერებში ასახული ინფორმაციის ნამდვილობა დაადასტურეს პოლიტიკურმა ფიგურებმა და ჟურნალისტებმა.

ბენეფიციართა უფლებების დაცვის მოტივით, GDI-მ არაერთხელ მიმართა საგამოძიებო ორგანოებს ეფექტიანი გამოძიების ჩატარების მიზნით, ამასთან, GDI-მ მიმართა სახელმწიფო ინსპექტორს და დაცვის ქვეშ მყოფი პირების საუბრების მოსმენა/მიყურადების კანონიერების გადამოწმება მოითხოვა. გამოიკვეთა, რომ უკანონო ფარული-მოსმენა მიყურადებით დაირღვა მომჩივანთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება და გამოხატვის თავისუფლება. გარდა ამისა, დღემდე გამოძიება არ არის ეფექტიანი, რაც კიდევ უფრო მეტად არღვევს უკანონო მოსმენა-მიყურადების მსხვერპლთა პირადი ცხოვრების უფლებას და მსხვერპლებს არ უტოვებს შესაძლებლობას, საკუთარი უფლებები ეროვნულ დონეზე ქმედითი სამართლებრივი მექანიზმებით დაიცვან.

შესაბამისად, 2022 წლის 07 ივლისსა და 8 სექტემბერს, GDI-მ, რამდენიმე ჟურნალისტისა და აქტივისტის სახელით, მათ უკანონო ფარულ მოსმენა-მიყურადებასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართა საჩივრით, კერძოდ სასამართლოში გაიგზავნა: ქეთევან ნადიბაიძის, მარტა ქურასბედიანის, ნოდარ რუხაძის, მარიამ გეგუჩაძის, ნანა ბრეგაძისა და თინათინ ბოკუჩავას საჩივრები.

GDI აგრძელებს უკანონო ფარული მოსმენა-მიყურადების გამო დაზარალებული ჟურნალისტების დაცვას, კერძოდ, ორგანიზაციამ ეროვნულ დონეზე უკვე დაიწყო „ფორმულას“, „მთავარი არხის“ და „ტვ პირველის“ დამატებით 39 ჟურნალისტის ინტერესების დაცვა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში საქმის წარმოება გაგრძელდება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

თორნიკე მანდარიას საქმე

2022 წლის 4 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოაცხადა განაჩენი 2021 წლის 5 ივლისს ჟურნალისტებზე განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებულ საქმეზე. კერძოდ, საქმე ეხება 2021 წლის 5 ივლისს სიძულვილის ჯგუფების მიერ „ღირსების მარშის“ დარბევისას და ლგბტ+ თემისა და მედიის წარმომადგენლების დევნისას ჟურნალისტებზე განხორციელებულ დანაშაულებრივ ქმედებებს. ამ საქმეში GDI იცავს „რადიო თავისუფლების“ დაზარალებული ჟურნალისტის, თორნიკე მანდარიას, ინტერესებს. განაჩენში სასამართლომ დაადგინა, რომ გიორგი კახიანმა თორნიკე მანდარიას მიმართ განახორციელა პროფესიული მოღვაწეობის გამო დევნა ძალადობით და ძალადობის მუქარით და რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა ძალადობის მუქარით და ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი ჯგუფურად.[12] GDI-მ საქართველოს პროკურატურას მოუწოდა განაჩენის გასაჩივრებისკენ, რადგან არასწორად მიიჩნია განაჩენში გიორგი კახიანისთვის ორგანიზებულ ჯგუფურ დანაშაულში მონაწილეობის ბრალდების გადაკვალიფიცირება ჯგუფურ ძალადობად. გარდა ამისა, თორნიკე მანდარიას პოზიციით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მას უნდა აუნაზღაუროს ჯანმრთელობის დაზიანების სახით განცდილი მორალური ზიანი, რომელიც მოჰყვა სამინისტროს მიერ მასზე კანონით დაკისრებული (სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის) პოზიტიური ვალდებულების დარღვევის შედეგად კახიანის მიერ მანდარიაზე განხორციელებულ ფიზიკურ თავდასხმას 2021 წლის 5 ივლისს.

აქტივისტების ინტერესების დაცვა

2022 წელს გაგრძელდა პროექტი „იურიდიული დახმარების ქსელი აქტივისტებისათვის“, რომლის ფარგლებში GDI პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზიებთან ერთად აქტივისტებს უწევდა სამართლებრივ კონსულტაციას სამართალდამცავ ორგანოებთან და სასამართლოებთან ურთიერთობისას, ასევე წარმოადგენდა მათ ინტერესებს საერთო სასამართლოებში. შესაბამისად, GDI-მ 2022 წელს გააგრძელა აქტივისტების ინტერესების დასაცავად სამართალწარმოება სხვადასხვა საქმეში. ზემოაღნიშნული პროექტის განმავლობაში, მონაწილე ორგანიზაციებმა ჯამში აწარმოეს 70 სისხლის სამართლის საქმე და 113 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე. აღსანიშნავია, რომ თითოეული ორგანიზაცია იმაზე მეტ საქმეში ჩაერთო, ვიდრე ეს იყო დაგეგმილი პროექტის დასაწყისში. შედეგად, ნაცვლად 132 საქმისა, ჯამში პარტნიორი ორგანიზაციების წარმოებაში 183 საქმე აღმოჩნდა. რაც შეეხება GDI-ს, ორგანიზაციამ აწარმოა ჯამურად 35 საქმე (10 სისხლის სამართლის, 25 კი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე).

კარტოგრაფების საქმე

2022 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოში განახლდა ე.წ. „კარტოგრაფების საქმის“ განხილვა,[13] რომელშიც ერთ-ერთ ბრალდებულის, ივერი მელაშვილის ინტერესებს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე GDI იცავს. მელაშვილი არის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეზობელი ქვეყნების დეპარტამენტის სასაზღვრო ურთიერთობათა სამსახურის ყოფილი უფროსი. მას ბრალად ედება საქართველოს საწინააღმდეგო მოქმედება, რომელიც მიმართულია უცხო ქვეყნისთვის საქართველოს მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის გადაცემისაკენ ან/და საქართველოს ტერიტორიიდან მისი ნაწილის

12 2022 წლის 4 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ნინო ჩახნაშვილის მიერ მიღებული განაჩენი საქმეზე NN 1/4458-21, გვ. 46, 48, 51

13 საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, ადამიანის უფლებები საქართველოში 2022, გვ. 31; პაუზის შემდეგ ე.წ. კარტოგრაფების საქმის განხილვა განახლდა, იხ.: https://bit.ly/3P2G5yA

გამოყოფისაკენ (სისხლის სამართლის კოდექსის 308-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).[14] აღსანიშნავია, რომ „კარტოგრაფების საქმე“ პოლიტიკურად მოტივირებულად მიიჩნევა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საქართველოს სახალხო დამცველის მიერ.[15]

«სასამართლოს მეგობრის» მოსაზრება სახელმწიფო ინსპექტორის საქმეზე

2021 წლის 30 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტის მიერ დაჩქარებული წესით განიხილული და მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით გაუქმდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური და მის ნაცვლად შეიქმნა ორი ახალი უწყება: სპეციალური საგამოძიებო სამსახური და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, ხოლო 2022 წლის პირველი მარტიდან უფლებამოსილება ავტომატურად შეუწყდათ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ხელმძღვანელს, ლონდა თოლორაიას, და მის მოადგილეებს.16 საკანონმდებლო ცვლილებების არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით ლონდა თოლორაიამ და საქართველოს სახალხო დამცველმა სარჩელები შეიტანეს საკონსტიტუციო სასამართლოში.[17] მოსარჩელეებმა ასევე მოითხოვეს სადავო ნორმების მოქმედების შეჩერება.[18] ამ საქმეზე, 2022 წლის 16 თებერვალს, GDI-მ საკონსტიტუციო სასამართლოს გაუგზავნა “სასამართლოს მეგობრის” მოსაზრება.[19] წარდგენილი დოკუმენტით GDI-მ სასამართლოს დამატებით მიაწოდა ნორმის მოქმედების შეჩერების ინსტიტუტთან დაკავშირებით არსებული საერთაშორისო გამოცდილების და საკონსტიტუციო სასამართლოს წინარე პრაქტიკის სისტემური ანალიზი და მათზე დაყრდნობით გააცნო განსახილველ სარჩელებში მოთხოვნილი სადავო ნორმების მოქმედების შეჩერების საფუძვლიანობის არგუმენტები.[20]აღსანიშნავია, რომ ამავე საკითხზე GDI-მ 2022 წლის თებერვალში საჯარო ონლაინ დისკუსიასაც უხელმძღვანელა, რის ფარგლებშიც მოწვეულმა სტუმრებმა და GDI-ს წარმომადგენლებმა საზოგადოებას გააცნეს აღნიშნული საქმის მნიშვნელობა.

14 საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, ადამიანის უფლებები საქართველოში 2022, გვ. 31; პაუზის შემდეგ ე.წ. კარტოგრაფების საქმის განხილვა განახლდა, იხ.: https://bit.ly/3P2G5yA

15 კარტოგრაფების საქმე - პოლიტიკურად მოტივირებული ახალი გამოძიება, იხ.: https://bit.ly/3FsRGDM; საქართველოს სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება ე. წ. კარტოგრაფების საქმეზე, იხ.: https://bit.ly/3Bcsgb1

16 საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, ადამიანის უფლებები საქართველოში 2022, გვ. 38.

17 საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, ადამიანის უფლებები საქართველოში 2022, გვ. 39.

18 საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, ადამიანის უფლებები საქართველოში 2022, გვ. 39.

19 “სასამართლოს მეგობრის» მოსაზრება სახელმწიფო ინსპექტორის საქმეზე, იხ.: https://bit.ly/3Wkc7Z3

20 “სასამართლოს მეგობრის» მოსაზრება სახელმწიფო ინსპექტორის საქმეზე, იხ.: https://bit.ly/3Wkc7Z3

2. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვის ხელშეწყობა და ცნობიერების ამაღლება

2.1. მედიის თავისუფლების უზრუნველყოფა

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

2022 წლის 7 სექტემბერს საქართველოს პარლამენტში „ქართული ოცნების" დეპუტატებმა დაარეგისტრირეს კანონპროექტი „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით,[21] საბოლოოდ კი 2022 წლის 22 დეკემბერს პარლამენტმა მიიღო „კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.22 GDI-ს წარმომადგენლები აქტიურად ადევნებდნენ თვალს კანონპროექტის განხილვის პროცესს, მათ შორის ესწრებოდნენ კანონპროექტის შესახებ გამართულ მოსმენებს. GDI-მ გააკრიტიკა საკანონმდებლო ცვლილებების შინაარსი, კერძოდ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებების დაუყოვნებლივი აღსრულების შემოღება და პასუხის უფლებასა და სიძულვილის ენაზე კომისიის მანდატის გავრცელება. GDI-ის პოზიციით, კანონპროექტის ეს ასპექტები შეიცავდა (და შეიცავს) კრიტიკულ მედიაზე ზეწოლის სერიოზულ რისკებს და ეწინააღმდეგება ევროკავშირის წერვობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების თაობაზე ევროკომისიის მიერ გამოცემული მოსაზრების მე-7 პუნქტს. GDI-მ საკუთარი პოზიცია რეკომენდაციების სახით გაუგზავნა პარლამენტს.[23] აღსანიშნავია, რომ GDI-ის რეკომენდაციები მნიშვნელოვნად ემთხვევა და შეესაბამება ევროსაბჭოს ექსპერტების პირველად მოსაზრებას „მაუწებლობის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების 3 ძირითადი ასპექტის შესახებ. GDI-მ ასევე მოამზადა დოკუმენტი, რომელშიც მოკლედ განხილულია GDI-ის და ევროსაბჭოს ექსპერტების შეფასებები "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით.[24]

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მონიტორინგი

იმის გათვალისწინებით, რომ კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას აქვს უფლებამოსილება, მიიღოს მედიის საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, GDI აქტიურად ადევნებს თვალს მის საქმიანობას და პროაქტიულად აკეთებს შესაბამის განცხადებებს. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში GDI-მ მარეგულირებელი კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების მიზნით, არაერთი აქტივობა განახორციელა. მაგალითად, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, GDI ვიზუალური მასალის გამოყენებით საზოგადოებას აწვდიდა ინფორმაციას კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის შესახებ. სოციალური ქსელების გამოყენებით, ორგანიზაციამ შექმნა და გამოაქვეყნა ინფოგრაფიკები, სადაც ჩანს, თუ როგორ *აფასებს* აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი მარეგულირებელი კომისიის საქმიანობას. ასევე, ორგანიზაციის Facebook გვერდზე გამოქვეყნდა *სტატისტიკა* არაწინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური რეკლამის განთავსების საფუძვლით სამართალდამრღვევად ცნობილი მაუწყებლების შესახებ. გარდა ამისა, გამოვაქვეყნეთ ვიდეო, სადაც GDI-ის თავმდჯომარე *საუბრობს* კომუნიკაციების

21 იხ. კანონპროექტი: https://bit.ly/3Jk4MpB

22 საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, იხ.: https://bit.ly/3Hgi84C

23 GDI-მ პარლამენტს „მაუწყებლობის შესახებ“კანონპროექტზე შენიშვნებითა და რეკომენდაციებით მიმართა, იხ.: https://bit.ly/3HlIgv3

24 GDI მოუწოდებს პარლამენტს უარი თქვას „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში მედიის თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული ცვლილებების მიღებაზე, იხ: https://bit.ly/3XHoGyD; GDI-ს და ევროსაბჭოს ექსპერტების შეფასებები "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, იხ.: https://bit.ly/3XrAJ3p

ეროვნული კომისიის რეაგირებაზე „ალტ-ინფოს“ კანონსაწინააღმდეგო განცხადებებზე.

ცნობიერების ამაღლება

გარდა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობისა, GDI-ს განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია კრიტიკულად განწყობილი მედიების წინააღმდეგ ცილისწამების საფუძვლით დაწყებული დავების გაზრდილმა მაჩვენებელმა. როგორც უკვე აღინიშნა, ასეთი დავების ინიციატორები ძირითადად ხელისუფლების წარმომადგენლები ან მათთან დაკავშირებული პირები არიან, ხოლო 2022 წელს კრიტიკულად განწყობილი მედიების წინააღმდეგ სასამართლოში შეტანილი სარჩელების რაოდენობამ 32-ს მიაღწია. შესაბამისად, საქართველოში გახშირდა სასარჩელო მექანიზმის ბოროტად გამოყენების და სასამართლოსთვის ე.წ. SLAPP (სტრატეგიული სარჩელები სამოქალაქო ჩართულობის წინააღმდეგ) სარჩელებით მიმართვის შემთხვევები, რაც მიზნად ისახავს ჟურნალისტების/ მედიის გაჩუმებასა და სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უკანონო შეზღუდვას.

SLAPP სარჩელების რაოდენობის ზრდის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ამ კუთხით საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება. სწორედ ამიტომ, GDI-მ ხსენებული სარჩელების რაოდენობის შესახებ *სტატისტიკა* ჯერ კიდევ 2021 წლის facebook გვერდის მეშვეობით გაუზიარა საზოგადოებას. გარდა ამისა, GDI-მ გამოაქვეყნა *ინფოგრაფიკა,* სადაც შედარებულია ცილისწამების საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის, გოჩა დიდავას, განმარტებები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებებთან. ამასთან, ორგანიზაციის Facebook გვერდზე განთავსდა *ვიდეო,* სადაც GDI-ს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პროგრამის დირექტორი საუბრობს ცილისწამების არსზე და გავლენიანი პირების მიერ ცილისწამების საფუძვლით შეტანილი სარჩელების ტენდენციაზე.

ცნობიერების ამაღლების მიზნით, ორგანიზაციამ არაერთი შეხვედრა გამართა სხვადასხვა რეგიონული მედიის წარმომადგენლებთან. მაგალითად, საანგარიშო პერიოდში შეხვედრები გაიმართა *თელავის, გორის, ზუგდიდისა* და *ბათუმის* ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებთან, სადაც ორგანიზაციის იურისტებმა მედიის თავისუფლების მიმართულებით არსებულ სხვა გამოწვევებთან ერთად, ისაუბრეს ბოლო დროს ჟურნალისტების მიმართ ცილისწამების საფუძვლით წარმოებულ სამართლებრივ დავებზე.

GDI-მ ასევე მოამზადა ანგარიში „მედიის თავისუფლება საქართველოში 2021-2022“, სადაც წარმოდგენილია 2021-2022 წლებში (2022 წლის ივნისამდე პერიოდი) საქართველოში მედიაგარემოს გაუმჯობესების მიზნით GDI-ს მიერ განხორციელებული პროექტის შედეგები, მიგნებები და მიმდინარე გამოწვევები. ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია მედიის თავისუფლებისათვის საფრთხისშემცველ არაერთ საკითხზე. აღნიშნული ანგარიშის პრეზენტაციას ესწრებოდნენ დიპლომატიური კორპუსის, სახალხო დამცველის აპარატის, კრიტიკული მედიისა და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სხვადასხვა წარმომადგენლები.

ბოლოს, საყურადღებოა, რომ GDI არის კოალიცია „მედიის ადვოკატირებისათვის“ აქტიური წევრი, რომლის ფარგლებშიც მონაწილეობს კოალიციური განცხადებებისა და ანგარიშების მომზადებაში, ესწრება კოალიციის სხდომებს და სხვა შეხვედრებს.

საერთაშორისო ადვოკატირება

საყურადღებოა, რომ SLAPP სარჩელებით სასამართლოსთვის მიმართვა სხვა ქვეყნებშიც გავრცელებული ტენდენციაა, რის გამოც საერთაშორისო დონეზე იგეგმება არაერთი ნაბიჯის გადადგმა აღნიშნული პრაქტიკის წინააღმდეგ. მაგალითად, შექმნილია ექსპერტთა კომიტეტი საზოგადოების ჩართულობის წინააღმდეგ სტრატეგიული სამართალწარმოებაზე ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის სამუშაო ვერსის წარსადგენად 2023 წლის *ბოლომდე.* ვინაიდან მნიშვნელოვანია რეკომენდაციის შემუშავებისას მხედველობაში იქნეს მიღებული საქართველოს კონტექსტი, GDI აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო ადვოკატირებაში, რათა საქართველოში მიმდინარე ტენდენცია უფრო ხილვადი გახდეს ევროპის დონეზე.

ამ მიზნით, GDI გახდა არასამთავრობო ორგანიზაციების ევროპული ანტი-SLAPP კოალიციის (CASE) წევრი. GDI, კოალიციის სხვა წევრებთან ერთად, აქტიურად მუშაობს ევროპაში ანტი-SLAPP კამპანიაზე და საერთაშორისო დონეზე ანტი-SLAPP მექანიზმების შემუშავებაზე. ამასთან, ორგანიზაციამ კოალიციას გაუზიარა GDI-ს მიერ მომზადებული ანგარიში საქართველოში არსებულ SLAPP სარჩელებზე და ყველაზე მნიშვნელოვან SLAPP დავების მაგალითები. GDI კვლავ აქტიურად აგრძელებს კოალიციასთან თანამშრომლობას და აცნობს საქართველოში არსებულ მდგომარეობას მედიის თავისუფლებისა და SLAPP სარჩელების კუთხით.

საერთაშორისო ადვოკატირების ფარგლებში, 2022 წლის 20 ოქტომბერს, GDI-ის თავმჯდომარემ ედუარდ მარიკაშვილმა და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პროგრამის დირექტორმა, მარი კაპანაძემ, ევროსაბჭოს მხარდაჭერით მონაწილეობა მიიღეს პირველ ევროპულ ანტი-SLAPP კონფერენციაში. კონფერენციაზე განიხილებოდა რეგიონალური/ევროპული და სახელმწიფო ინიციატივები SLAPP-ის წინააღმდეგ და სამოქალაქო ორგანიზაციების როლი ამ პრობლემასთან ბრძოლაში. საკითხი აქტიურად განიხილება როგორც ევროკავშირის, ისე ევროსაბჭოს დონეზე. GDI-ის წარმომადგენლებმა ევროპელ კოლეგებს გააცნეს საქართველოში არსებული კონტექსტი და ცილისწამებასთან დაკავშირებული სარჩელების მიმდინარე სტატისტიკა/ტენდენცია.

GDI აქტიურად აგრძელებს საერთაშორისო ადვოკატირებას, რათა საქართველოში მიმდინარე ტენდენცია უფრო ხილვადი გახდეს ევროპის დონეზე და რეკომენდაციათა პაკეტში, რომლის მიღებასაც ევროსაბჭო აპირებს, ჩვენი კონტექსტიც გაითვალისწინონ.

2.2. წლიური ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებების შესახებ

2022 წლის 10 დეკემბრისათვის, ანუ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღისათვის, GDI-მ გამოაქვეყნა ყოველწლიური ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ. კერძოდ, დოკუმენტში თემატურად მიმოხილულია 2022 წლის ის ძირითადი მოვლენები და შემთხვევები, რომელიც წარმოაჩენს, თუ რამდენად ასრულებს საქართველოს ხელისუფლება თავის ვალდებულებებს ადამიანის უფლებებისა და სამართლის უზენაესობის სფეროებში. GDI-ის ყოველწლიური ანგარიშების მიზანია ხსენებულ სფეროებში არსებული ვითარების მიმოხილვა და წარმოჩენა როგორც ქართული, ისე საერთაშორისო საზოგადოებისათვის. აღსანიშნავია, რომ GDI-ის ყოველწლიური ანგარიშები წარმოადგენს ხოლმე საერთაშორისო პარტნიორების ინფორმაციისა თუ შეფასებების ერთ-ერთ წყაროს.

3. თანასწორობა

3.1. პროექტი „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“

2022 წელს GDI ჩაერთო USAID-ის სამოქალაქო და პოლიტიკური ინტეგრაციის პროგრამაში, რომლის მიზანია სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში საქართველოს რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების გაზრდილი ინტეგრაცია, კერძოდ სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში და სერვისებში მათი მონაწილეობის გაზრდა და უმრავლესობისა და უმცირესობის თემებს შორის ორმხრივად სასარგებლო სოციო-ეკონომიკური კავშირების გაძლიერება. პროგრამის ფარგლებში GDI, როგორც ერთ-ერთი პარტნიორი, გააგრძელებს არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის „არა ფობიას!“ კოორდინაციას და განახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს (რეგიონში შეხვედრებს, საჯარო დისკუსიებს, სიძულვილის ენის და დისკრიმინაციის მონიტორინგს და ა.შ.) სახელმწიფოს პოლიტიკასა და სერვისებში უმცირესობების მონაწილეობის გასაზრდელად. 2022 წელს პროგრამის ფარგლებში GDI-მ დაიწყო კოალიციის „არა ფობიას“ ახალ სტრატეგიაზე მუშაობა კოალიციის სხვა წევრებთან ერთად.

3.2. აქტივიზმის ბანაკები ლგბტქი+ თემის გასაძლიერებლად

საქართველოში კვლავ ფართოდ გავრცელებულია ჰომოფობიისა და დისკრიმინაციის საპასუხოდ და ლგბტქი+ თემის გასაძლიერებლად, GDI-მ ორი აქტივისტური ბანაკი დააორგანიზა.

პირველი აქტივისტური ბანაკი, GDI-მ „თბილისი პრაიდთან“ თანამშრომლობით და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, 2022 წლის 26-28 აპრილს გამართა. ბანაკის მიზანი იყო ლგბტქი+ თემის გაძლიერება ისეთ საკითხებზე ტრენინგების ჩატარებითა და ცოდნის მიწოდებით, როგორებიცაა: აქტივიზმის ისტორია და მისი მნიშვნელობა, ლგბტ აქტივიზმი, ქვიარ გამოცდილება, უფლებათა დაცვის მექანიზმები და სამართლებრივი კულტურა და ა.შ. აღსანიშნავია, რომ პროექტის მონაწილეები დღემდე ინარჩუნებენ კომუნიკაციას ერთმანეთთან და პროექტის ორგანიზატორებთან და აქტიურად იყენებენ ბანაკის ფარგლებში მიღებულ ცოდნას.

მეორე აქტივიზმის *სკოლა,* GDI-ისა და Tbilisi Pride-ის ორგანიზებით, 25-29 ნოემბერს გაიმართა. სკოლის მიმდინარეობისას, მონაწილეებმა გამოცდილ მომხსენებლებთან ერთად, განიხილეს ისეთი საკითხები, როგორიცაა ლგბტქი აქტივიზმის ისტორია, ეფექტური ლგბტქი კამპანიების გამოცდილებები, ხელოვნება, მულტიმედია და სოციალური მედია ცვლილებებისთვის და სხვ. ამასთან, დარგის ექსპერტებისგან მიიღეს ინფორმაცია ორგანიზაციებისა და მოძრაობების სტრატეგიის განსაზღვრის, პროექტების დაგეგმვის, ადვოკატირებისა და ლობირების შესახებ. სკოლის მონაწილეები, ტრენინგების დროს მიღებული ცოდნითა და გამოცდილებით, თავად განახორციელებენ კამპანიებს ლგბტქი უფლებების, თანასწორობისა და სამოქალაქო აქტივიზმის შესახებ საგრანტო პროექტების სახით. აქტივიზმის სკოლა განხორციელდა Institute for War & Peace Reporting (IWPR)-ის პროექტის „მედეგობის გაძლიერება აღმოსავლეთ სამეზობლოში“ (BREN) ფარგლებში, რომელიც მხარდაჭერილია ბრიტანეთის მთავრობის მიერ.

3.3. ანგარიში ODIHR-ისთვის სიძულვილის დანაშაულების შესახებ

ევროს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისს (ODIHR) აქვს შექმნილი სპეციალური ვებ-გვერდი (www.hatecrime.osce.org), რომელზეც აქვეყნებს წევრი სახელმწიფოების, სამოქალაქო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისგან მიღებულ ინფორმაციას სიძულვილის დანაშაულებზე. ODIHR-მა გამოაცხადა სამოქალაქო

ორგანიზაციების მიერ კონტრიბუციების მიღება 2021 წლის (საანგარიშო) პერიოდის შესახებ (2021 Call for Civil Society Submissions). შესაბამისად, 2022 წლის აპრილში GDI-მ ODIHR-ს გაუგზავნა ანგარიში/ინფორმაცია 2021 წლის 5 ივლისის მომხდარი იმ სიძულვილის დანაშაულების შესახებ, რომელთა მსხვერპლების ინტერესებს იცავდა GDI.

3.5. ანგარიში ECRI-ის მონიტორინგის მე-6 ციკლისთვის

GDI-მ რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპულ კომისიას (ECRI) გაუგზავნა ანგარიში კომისიის მიერ ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების მონიტორინგის მე-6 ციკლისათვის. GDI-ის ანგარიში ეხება ლგბტ+ თემის თანასწორუფლებიანობას, რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციას, სიძულვილის ენასა და სიძულვილის დანაშაულებს. ლგბტ+ თემის თანასწორუფლებიანობის მხრივ, ანგარიშში განხილულია თემის მიერ შეკრებისა და გამოხათვის თავისუფლების რეალიზების დაბრკოლებები, სიძულვილის ენა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები, სექსუალური უმცირესობის გამოყენება პოპულიზმის იარაღად, საზოგადოებრივი დამოკიდებულება და ლგბტ+ თემის სოციალური მდგომარეობა. რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის ნაწილში, ანგარიშში საუბარია საპატრიარქოსათვის ტყების გადაცემაზე, რელიგიური უმცირესობების მიმართ დისკრიმინაციულ კოვიდ-საწინააღმდეგო რეგულაციებზე, ქრისტიან და მუსლიმ თემებს შორის დაპირისპირებებზე. სიძულვილის ენისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების მხრივ, GDI-მ ECRI-ის მიაწოდა ინფორმაცია საკანონმდებლო დონეზე სიძულვილის ენის რეგულირებისა და კრიმინალიზების საფრთხეების, საჯარო მოხელეების ქცევის კოდექსისა და მისი იმპლემენტაციის/აღსრულების შესახებ.

3.6. რეკომენდაციები 2022-2030 წლებისათვის ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიასთან დაკავშირებით

GDI-მ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას/ადამიანის უფლებათა სამდივნოს წარუდგინა რეკომენდაციები მთავრობის მიერ 2022-2030 წლებისათვის მომზადებულ ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიასთან დაკავშირებით. კერძოდ, GDI-ის რეკომენდაციები ეხებოდა შემდეგ საკითხებს: პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სფეროში კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა კონსტიტუციურ და საერთაშორისო სტანდარტებთან; ლგბტ+ თემის შეკრების და მანიფესტაციის უფლების დარღვევის პრევენცია და დარღვევის ფაქტებზე ეფექტიანი სამართლებრივი რეაგირება; პოლიტიკური პლურალიზმისა და თანასწორი, თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა საარჩევნო კანონმდებლობის გაუმჯობესებითა და ეფექტიანი აღსრულებით; მედიის რეგულირების სფეროში გამოხატვის თავისუფლების მაღალი სტანდარტის დაცვა; პანდემიის დროს ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტირების რეალური მაჩვენებლის განსაზღვრა; ლგბტ+ თემის უფლებების ცალკე თავად გამოყოფა; სიძულვილის ჯგუფების გავლენების შესასუსტებლად ეფექტიანი პოლიტიკის წარმოების გათვალისწინება; განათლების რეფორმა საზოგადოებაში არსებული სტიგმისა და ნეგატიური წინასწარგანწყობების აღმოსაფხვრელად; დისკრიმინაციის ნიშნით/შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის პრევენციისა და მსხვერპლზე ორიენტირებული რეაგირების გაუმჯობესება; უმცირესობათა მიმართ საზოგადოებაში არსებული დამოკიდებულების, განწყობების ცვლილების კვლევა და გამოვლენა. GDI ასევე აქტიურად ადვოკატირებდა ადამიანის უფლებათა ეროვნულ სტრატეგიაში ლგბტ+ თემთან დაკავშირებული საკითხების ასახვას.

კანონის უზენაესობის პროგრამა

კანონის უზენაესობის პროგრამა მუშაობს ქართული მართლმსაჯულების სისტემასთან დაკავშირებულ სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე და აქტიურად არის ჩართული სასამართლო სისტემის ინსტიტუციური რეფორმის შემუშავებასა და მის ადვოკატირებაში. პროგრამა ორიენტირებულია როგორც საერთო სასამართლოებისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების მიმართ საზოგადოების ცნობადობის გაზრდასა და ინფორმირებულობაზე, ასევე, ინდივიდუალური მოსამართლეების გაძლიერებაზე.

1. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება

სასამართლო სისტემაში არსებულ და მიმდინარე მოვლენების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლებლად, პროგრამამ განახორციელა შემდეგი აქტივობები:

1.1. ვებგვერდის www.judges.ge განახლება

სრულიად განახლდა ვებგვერდი www.judges.ge,25 რომელიც მოიცავს მრავალ საინტერესო და საჭირო ინფორმაციას. ვებგვერდი იძლევა შესაძლებლობას მოიძიოთ და გაეცნოთ:

ა) მუდმივად განახლებულ ინფორმაციას საქართველოს საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების განათლების, წარსული გამოცდილების, ფინანსური მდგომარეობის, საჯარო აქტივობის, მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ და სხვა; სასურველი მოსამართლის მოძიება შესაძლებელია სხვადასხვა ფილტრების მეშვეობით, როგორიცაა: სახელი, გვარი, სასამართლო, კოლეგია/პალატა, დანიშვნის წესი და გახმაურებული გადაწყვეტილება;

ბ) ინფორმაციას სასამართლოების ლოკაციისა და მათი საკონტაქტო ინფორმაციის შესახებ;

გ) სასამართლო სისტემასთან დაკავშირებულ ყველაზე აქტუალურ კითხვებსა და პასუხებს, რომელიც ხელმისაწვდომია ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე;

25 განახლებული ვებ გვერდი ხელმისაწვდომი იქნება 2023 წლის 1 მარტიდან;

დ) მოქმედ მოსამართლეთა, როგორც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა საჯარო გასაუბრებები იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტზე და სხვა;

1.2. პოდკასტების მომზადება

მომზადდა 2 პოდკასტი საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების შესახებ:26

1) სეკულარიზმი ლიბერალურ დემოკრატიაში. მოწვეული სტუმარი - გიორგი მშვენიერაძე;

2) საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობა და კონსტიტუციური წესრიგი. მოწვეული სტუმარი - ირაკლი ხვადაგიანი;

1.3. ონლაინ საჯარო დისკუსია

გამართა ონლაინ საჯარო დისკუსია თემაზე: ფარული მოსმენა/მიყურადების თემა საქართველოში და მოქმედი კანონმდებლობა.[27] დისკუსიის მომხსენებლები იყვნენ ედუარდ მარიკაშვილი (GDI-ს თავმჯდომარე), დავით ჯანდიერი (სამართლის დოქტორი), გიორგი დავითური (IDFI-ის კანონის უზენაესობის პროგრამის ხელმძღვანელი), გიორგი ბურჯანაძე (საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე).

2. ინდივიდუალურ მოსამართლეთა გაძლიერება

ინდივიდუალურ მოსამართლეთა გაძლიერების კუთხით, დაიდენტიფიცირდა და მომზადდა ქართველი მოსამართლეების მიერ მიღებული 18 მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების შესახებ საინფორმაციო ქარდი.[28]

26 პოდკასტები ხელმისაწვდომია GDI-ს Facebook გვერდზე: https://www.facebook.com/gdi.ge

27 საჯარო დისკუსია ხელმისაწვდომია GDI-ს Facebook გვერდზე: https://bit.ly/3CVYYyu

28 ქარდებ ხელმისაწვდომია Facebook გვერდზე “იცნობდე შენს მოსამართლეებს“: https://www.facebook.com/Judges.ge

სამოქალაქო განათლების პროგრამა

სამოქალაქო განათლების სწავლება და ცოდნის ამაღლების ხელშეწყობა 2022 წელსაც GDI-ისთვის კვლავ ერთ-ერთი პრიორიტეტი იყო. ამ კუთხით საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა სამოქალაქო განათლების ონლაინ პლატფორმის civiceducation.ge (სამოქალაქო განათლება ყველასათვის) გაძლიერება. 2022 წელს 23000-მდე გაიზარდა პლატფორმის მომხმარებელთა რაოდენობა, მათ შორის კი აღსანიშნავია სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე მომხმარბელთა რაოდენობის ზრდა.

1. სამოქალაქო განათლების ოლიმპიადა

სამოქალაქო განათლება ყველასათვის (civiceducation.ge) ონლაინ პლატფორმის ფარგლებში GDI-იმ 2022 წელს სამოქალაქო განათლების მე-5 ონლაინ ოლიმპიადა გამართა და გამარჯვებულები გამოავლინა.

ონლაინ ოლიმპიადის გამარჯვებული გახდა ქუთაისის ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის XII კლასის მოსწავლე გელა კუხიანიძე, მეორე ადგილზე გავიდა მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის #3 საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე სალომე ლომიძე, ხოლო მესამე ადგილზე თანაბარი ქულებით 2 მოსწავლე გავიდა: თბილისის 85-ე საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე ეკატერინე გიორგაძე და ქ. რუსთავის #10 საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე ნინო მაისურაძე.

ოლიმპიადის წესების თანახმად, პერსონალური კომპიუტერი გადაეცა ჯილდოდ ოლიმპიადის პირველ ტურში პირველ ადგილზე გასული მოსწავლის მასწავლებელს, კერძოდ, თბილისის 85-ე საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებელს, გოგი ლატარიას.

სერტიფიკატები და სხვა საჩუქრები გაეგზავნათ მე-4-მე-9 ადგილზე გასულ მოსწავლეებს. გამარჯვებულ ათეულში იყვნენ კასპის, რუსთავის,ზესტაფონის, საჩხერის, წალენჯიხის და ქობულეთის სკოლების VII-XI კლასის მოსწავლეები. სამახსოვრო საჩუქრები გაეგზავნათ ასევე ოლიმპიადის სომხურ და აზერბაიჯანულ ვერსიაში საუკეთესო შედეგის მქონე მოსწავლეებს გარდაბნისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში.

ოლიმპიადაში მონაწილეობა მიიღო 1440-მა მოსწავლემ, მათ შორის 1282-მა ქართულ ენაზე, 158-მა კი სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

2022 წლის სამოქალაქო განათლების ონლაინ ოლიმპიადა გაიმართა პროექტის *„დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა და გენდერული თანასწორობის წახალისება სამოქალაქო განათლების გზით“ ფარგლებში.*

2. ტრენინგები

2022 წელს civiceducation.ge-ზე რეგისტრირებული სამოქალაქო განათლების პედაგოგებისთვის გაიმართა ორდღიანი ონლაინ ტრენინგების 10 ციკლი civiceducation.ge-ს მე-4 თავის *(„მე, ოჯახი, საზოგადოება“)* და ასევე დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებზე. ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო სამოქალაქო განათლების 353-მა მასწავლებელმა.

ასევე გაიმართა 4 ვებინარი დეზინფორმაციის, სექსუალური განათლების, ჰომოფობიისა და ადამიანის უფლებების საკითხებზე. ვებინარში მონაწილეობა მიიღო 150-მდე სამოქალაქო განათლების მასწავლებელმა, ხოლო ჩანაწერების ყურების რაოდენობამ სოციალურ ქსელიში 2000-ს გადააჭარბა.

2022 წელს, შეხვედრა civiceducation.ge- ს პოპულარიზაციის მიზნით, სამოქალაქო განათლების მასწავლებლებმა ჩაატარეს 79 შეხვედრა შემდეგ რეგიონებში: ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, გურია, სამეგრელო და აჭარა.

ტრენინგები, ვებინარები და შეხვედრები გაიმართება პროექტის, *„დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა და გენდერული თანასწორობის წახალისება სამოქალაქო განათლების გზით»,* ფარგლებში.

3. კონკურსები

3.1 კონკურსები მასწავლებლებისთვის

პროექტის, *„დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა და გენდერული თანასწორობის წახალისება სამოქალაქო განათლების გზით",* ფარგლებში, სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისთვის გაიმართა 2 კონკურსი: სამოქალაქო განათლების მასწავლებლებს შორის ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო დღის და ადამიანის უფლებათა დღის აღსანიშნავი საუკეთესო ღონისძიების ავტორის გამოსავლენად. ამავე პროექტის ფარგლებში გაიმართა ბლოგების კონკურსი მასწავლებლებისთვის დეზინფორმაციის, ჰომოფობიის, დისკრიმინაციის, სექსუალური განათლებისა და რესპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე.

ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო დღის აღსანიშნავი საუკეთესო ღონისძიების ავტორის გამოსავლენი კონკურსის ფარგლებში, სამოქალაქო განათლების მასწავლებლებმა, მოსწავლეების მონაწილეობით, 2022 წლის 7-10 აპრილს გამართეს ღონისძიებები, რომელთა მიზანი იყო მოსწავლეებს შორის რეპროროდუქციული ჯანმრთელობის კუთხით ცნობიერების ამაღლება. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 17-მა მასწავლებელმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. კონკურსის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების ამსახველი ვიდეო, ფოტო და სხვა მასალა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განიხილა კომისიის ოთხმა წევრმა და 4 გამარჯვებული მასწავლებელი გამოავლინა:

I ადგილი - ინგა გეგეშიძე - სსიპ ქალაქ ბათუმის #16 საჯარო სკოლა

II ადგილი - მერი ბეჟუაშვილი - სსიპ ქალაქ გორის #7 საჯარო სკოლა

III ადგილი - ნონა ფიფია - სსიპ ქალაქ თბილისის #10 საჯარო სკოლა და მაია არახამია - სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხორრიის საჯარო სკოლა.

სამოქალაქო განათლების მასწავლებლებს შორის ადამიანის უფლებათა დღის აღსანიშნავი საუკეთესო ღონისძიების ავტორის გამოსავლენი კონკურსის ფარგლებში, სამოქალაქო განათლების მასწავლებლებმა, მოსწავლეების მონაწილეობით, 2022 წლის 10 დეკემბერს გამართეს ღონისძიებები, რომელთა მიზანი იყო მოსწავლეებს შორის ადამიანის უფლებების მნიშვნელობის შესახებ სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და მათ პასუხისმგებლიან მოქალაქეებად ჩამოყალიბების ხელშეწყობა. კონკურსში საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან მონაწილეობა მიიღო 46 პედაგოგმა. კონკურსის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების ამსახველი ვიდეო, ფოტო და სხვა მასალა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განიხილა კომისიის ოთხმა წევრმა და 3 გამარჯვებული მასწავლებელი გამოავლინა:

I ადგილი - ზაირა ტყაბლაძე - სსიპ ქუთაისის #7 საჯარო სკოლა

II ადგილი - დალი კეკელიძე - სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის, შულავერის #1 საჯარო სკოლა

III ადგილი - ეთერ კაჭკაჭიშვილი - სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არლის საჯარო სკოლა

ბლოგების კონკურსში მონაწილეობა მიიღო 9 მასწავლებელმა. საუკეთესო ბლოგები გამოქვეყნდა GDI-ის ახალ-*ვებ-გვერდზე.*

3.2 ესეების კონკუხსი მოსწავლეებისთვის

GDI-მ გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით გამართა *ესეების კონკურსი მოსწავლეებისთვის.* კონკურსის მიზანი იყო ანტიდასავლური პროპაგანდის ფონზე ჰომოფობიით გამოწვეული საფრთხეების ანალიზი, ვინაიდან სწორედ ამ თემაზე მანიპულირებით ხდება ახალგაზრდების შეცდომაში შეყვანა და ჰომოფობიური განწყობების გაძლიერება.

გამოვლინდა 10 საუკეთესო ესეს ავტორი, რომელთაც გადაეცათ სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები.

კონკურსში მონაწილეობა მიიღო 48 მოსწავლემ ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, საჩხერის, სენაკის, ხონის, თეთრიწყაროს, ლაგოდეხის, თელავის, ბათუმის, ხარაგაულის, ხაშურის, გურჯაანის, ფოთის, ასპინძის, მცხეთის, ჭიათურის, კასპის და ბოლნისის მუნიციპალიტეტებიდან და თბილისიდან.

4. დებატების ტუხნიხი

პროექტის, *„დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა და გენდერული თანასწორობის წახალისება სამოქალაქო განათლების გზით»,* ფარგლებში, გაიმართა დებატების ჩემპიონატი 2022, რომელშიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან მონაწილეობა მიიღო 26 გუნდმა.

ფინალურ რაუნდში ერთმანეთს სსიპ გოგიტა კიკნაძის სახელობის ქალაქ თბილისის N182 საჯარო სკოლისა და შპს სკოლა „თამარიონის“ გუნდები შეხვდნენ. დებატების ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა შპს სკოლა „თამარიონის“ გუნდი.

5. სხვა აქტივობები

2022 წლის განმავლობაში, სხვადასხვა მნიშვნელოვანი თარიღის აღსანიშნავად, GDI-მოამზადა 7 ქარდი გაციფრულებული პუბლიცისტური წერილებიდან შერჩეული საუკეთესო ციტატებით. ქარდები გავრცელდა სოციალური ქსელით, როგორც GDI-ს Facebook გვერდზე (26 000 გამომწერით), ასევე სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისათვის შექმნილ დახურულ ჯგუფში, რომელშიც 2022 წლის ბოლოს გაწევრიანებული იყო 1593 პედაგოგი.

მედია და საზოგადოებასთან ურთიერთობა

გასული წლების მსგავსად, 2022 წელსაც მედია დიდ ყურადღებას იჩენდა GDI-ს საქმიანობის მიმართ და ხშირად ინტერესდებოდა GDI-ს აზრით ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისა და არსებული გამოწვევების შესახებ. ორგანიზაცია წარმოდგენილი იყო არა მხოლოდ საინფორმაციო გამოშვებებში, არამედ სხვადასხვა ტიპის ანალიტიკურ და შემეცნებით პროგრამებში.

ინფორმაციის გავრცელების ტრადიციული მეთოდების გარდა, GDI საკომუნიკაციოდ აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს. ორგანიზაციის Facebook გვერდს 26 000 გამომწერი ჰყავს და ამ გვერდის საშუალებით GDI არა მხოლოდ ინფორმაციას ავრცელებს, არამედ დახმარებას უწევს მოქალაქეებს, რომლებიც სხვადასხვა, მათთვის მნიშვნელოვან ან პრობლემატურ საკითხზე მოგვმართავენ.

2022 წლის ბოლოს ამოქმედდა ორგანიზაციის ახალი ოფიციალური ვებგვერდი. ვებგვერდზე წარმოდგენილია დეტალური ინფორმაცია ორგანიზაციის გუნდის, მიმდინარე და დასრულებული პროექტებისა და საქმიანობის შესახებ. საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა მართავს შემდეგ 4 ვებგვერდს:

gdi.ge

civiceducation.ge

judges.ge

hrm.org.ge

GDI საერთაშორისო პლატფორმებზე

1. უფლებადამცველთა დღე

2022 წლის 10-14 ოქტომბერს GDI-მ მონაწილეობა მიიღო ადამიანის უფლებების დამცველთა ერთ-ერთ ყველაზე დიდი ფორუმში - Difenders days. GDI ფორუმზე თავმჯდომარემ, ედუარდ მარიკაშვილმა და საერთაშორისო სამართალწარმოების გუნდის ხელმძღვანელმა, დავით ჯანდიერმა წარმოადგინეს. ფორუმი გაიმართა შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში, რომელსაც ესწრებოდა 50 ქვეყნის 200-მდე უფლებადამცველი.

უფლებადამცველთა ფორუმის მიზანია უფლებადამცველთა როლის აღიარება მსოფლიოში ადამიანის უფლებების, დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებასა და დაცვაში. მათთვის შესაძლებლობის სივრცის შექმნა გაიცნონ ერთმანეთი და გააძლიერონ კონტაქტები მსოფლიოს მასშტაბით.

GDI აღნიშნულ ფორუმში პირველად მონაწილეობდა, რაც შესაძლებელი გახდა ჩვენი მეგობარი და პარტნიორი ორგანიზაციის, Civil Rights Defenders-ის მხარდაჭერით.

2. პირველი Anti-SLAPP კონფერენცია

2022 წლის 20 ოქტომბერს, GDI ევროსაბჭოს მხარდაჭერით მონაწილეობდა სტრასბურგში გამართულ პირველ ევროპულ ანტი-SLAPP კონფერენციაში. კონფერენციაზე GDI-ს თავმჯდომარე ედუარდ მარიკაშვილი და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პროგრამის დირექტორი, მარი კაპანაძე წარმოადგენდნენ.

კონფერენციის მიმდინარეობისას GDI-ს წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს საქართველოში ე.წ. SLAPP სარჩელების მზარდ ტენდენციას და შესაბამისად საქართველოს კონტექსტის გათვალისწინების მნიშვნელობას რეგიონულ დონეზე.

3. თავისუფლების ფორუმები

2022 წლის 29-30 სექტემბერსა და 16-17 ნოემბერს GDI მონაწილეობდა ქალაქ მანილაში გამართულ აზიის თავისუფლების ფორუმსა და ნიუ-იორკში გამართულ „თავისუფლების ფორუმში“ («Liberty Forum»), რომელიც «Atlas Network»-ის ორგანიზებით გაიმართა. GDI ტავისუფლების ფორუმებზე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პროგრამის დირექტორმა, მარი კაპანაძემ წარმოადგინა.

Atlas Network აერთიანებს ინდივიდუალურ თავისუფლებასა და ეკონომიკურ კეთილდღეობაზე მომუშავე ორგანიზაციებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით და მხარს უჭერს ლიბერალური ღირებულებების გავრცელებას და ბარიერების მოხსნას ინდივიდის განვითარებისათვის.

GDI საერთაშორისო ქსელს 2022 წლის მაისიდან შეუერთდა

4. ევროპული პოლიტიკის დიალოგის ფორუმი

2022 წლის 9-10 ნოემბერს, GDI მონაწილეობდა რიგით მეოთხე ევროპული პოლიტიკის დიალოგის ფორუმში «Social Inclusion in Cities: Strenghtening multi-stakeholder partnerships to bring communities into dialogue», რომელიც ქალაქ ბარსელონაში გაიმართა.

ფორუმი აერთიანებდა რელიგიურ ლიდერებს, მედიისა და სამოქალაქო ორგანიზაციებს წარმომადგენლებს ევროპიდან, რომლებიც ორი დღის განმავლობაში მსჯელობდნენ სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის გზებზე მედიისა და კულტურული ღონისძიებების გამოყენებით. ფორუმზე GDI-ს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პროგრამის დირექტორი, მარი კაპანაძე წარმოადგენდა.

5. ეუთოს კონფერენცია მიგრაციის საკითხებზე

2022 წლის 27-28 ივნისს GDI-ის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პროგრამის დირექტორმა მარი კაპანაძემ მონაწილეობა მიიღო ვარშავაში ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში „მიგრაცია, ადამიანის უფლებები და ინკლუზია: ეუთოში სამოქალაქო საზოგადოების როლის შეფასება“.

მარიმ მოხსენება გააკეთა საქართველოზე და ისაუბრა რასიზმის, ქსენოფობიისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების პრობლემატიკაზე მიგრანტთა და ლტოლვილთა მიმართ.

ორგანიზაციის ფინანსები





1. ორგანიზაციის განვითარება

2. სტრატეგიული სამართალწარმოება

3. კანონის უზენაესობა

4. სამოქალაქო განათლება

5. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები/მედიის თავისუფლება

6. კვლევითი საქმიანობა



1. სამოქალაქო უფლებათა დამცველები (CRD)

2. ღია საზოგადოების ფონდი

3. ევროპული დემოკრატიის ფონდი (EED)

4. აღმოსავლეთ-დასავლეთ მართვის ინსტიტუტი (EWMI)

5.სექსუალური განათლების შვედური ასოციაცია (RFSU)/ შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო (SIDA)

6.აშშ-ის განვითარების სააგენტო USAID და საქართველოს გაეროს ასოციაცია UNAG

7.გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)

8.ადამიანის უფლებათა სახლი/საფარი

9.ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი (IWPR)

10. აღმოსავლეთ-დასავლეთ მართვის ინსტიტუტი (EWMI) - სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)

11.ატლას ნეთვორქი (Atlas Network)

12. შემოწირულობა GDI